საქართველოს ბანკი

№15/3258 22 აპრ 2020

რწმუნებულება

სს საქართველოს ბანკის (ს/ნ 204378869) ოპერაციული დირექტორის მოადგილე **დავით დავითაშვილი** (პ/ნ 01001017835, შემდგომში - მარწმუნებელი) ანიჭებს უფლებამოსილებას **გიორგი ბუქურს** (პ/ნ 01025003639, შემდგომში - რწმუნებული), რათა მან მარწმუნებლის (სს საქართველოს ბანკის) სახელით განახორციელოს შემდეგი უფლებამოსილებები:

1. წარმოადგინოს სს "საქართველოს ბანკის" ინტერესები ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, წარადგინოს განცხადებები, პროექტები და მიიღოს დოკუმენტაცია შედეგების შესახებ, მოახდინოს ანგარიშსწორება და აგრეთვე ამასთან დაკავშირებით შეაგროვოს ყველა საჭირო ცნობები, მოწმობები და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია. ხელი მოაწეროს ზემოხსენებულ მოქმედებებთან დაკავშირებულ ყველა საჭირო დოკუმენტს.
2. რწმუნებული აგრეთვე უფლებამოსილია შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ან აუკრძალავი ნებისმიერი ქმედება, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე რწმუნებულებაში, მაგრამ რწმუნებულის აზრით საჭირო და აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, აგრეთვე წინამდებარე რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილებებისა და გაცემული დავალებების შესასრულებლად.

რწმუნებულება ძალაშია 2021 წლის 13 მარტამდე

სს საქართველოს ბანკის ოპერაციული დირექტორის მოადგილე

დავით დავითაშვილი ----------